პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 232 (4226)

1970 წ. 26 ნოემბერი. ხუთშაბათი. ფასი 4 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტში..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოკლე ამბები

● **ბეირუთი**, 24 ნოემბერი. ლიბანში თავისი ტურნეს ბოლო, მეოთხე მატჩი ერევნის „არარატის“ ფეხბურთელთა გუნდმა კვლავ გამარჯვებით დამთავრა. ამჯერად სტუმრებმა ანგარიშით 3:0 სძლიეს ქვეყნის ნაკრებს. სამივე გოლი შესვენებამდე გაიტანა ზანაზანიანმა. ამრიგად, ოთხ მატჩში ერევნელებმა მეტოქეთა კარში 17 ბურთი გაიტანეს, ხოლო საკუთარში მხოლოდ 2 მიიღეს.

● **ვარშავა**, 24 ნოემბერი. ცნობილი პოლონელი მოჭიდავის ვ. პიტლიასინსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ბელორუსიის წარმომადგენლებმა სამი I და ამდენივე II ადგილი დაიკავეს. შეჯიბრებაში 9 ქვეყნის 101 სპორტსმენი მონაწილეობდა. მემორიალის ლაურეატები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ზუბკოვი, მიხალეკი (პოლონეთი), სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონი ფაინშტეინი, სუპრონი (პოლონეთი), შტეერი, ხორნიაკი, ხედეგიუში (ყველა — უნგრეთი), კვეცინსკი (პოლონეთი), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი კიში (უნგრეთი) და ზელენკო. საბჭოთა „კლასიკოსთაგან“ II ადგილებზე გავიდნენ ბაბასანოვი, სტაროსტენკო და სუსიჩი.

● **სოფია**, 24 ნოემბერი. რუმინეთის მოფარიკავეებმა ყველას აჯობეს აქ დამთავრებულ ბალკანეთის III ჩემპიონატში. მათ ყველა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარეს. II ადგილზე გავიდა ბულგარეთის გუნდი, III — იუგოსლავიელთა კოლექტივი.

● **ვარშავა**, 24 ნოემბერი. პოლონეთში დაიწყო სპორტის მცოდნეთა მასობრივი კონკურსი „ოლიმპიურ გზაზე“. მისი პირველი ეტაპი საქარხნო და სტუდენტურ კოლექტივებში, სასკოლო კლუბებში გაიმართება. მერე ტურნირი სავოეოდოების დედაქალაქების კლუბებისა და კულტურის სასახლეების სცენაზე გადაინაცვლებს, 1972 წლის გაზაფხულზე კი გაიმართება ფინალი, რომელიც ტელევიზიით მთელს ქვეყანას გადაეცემა. წინა ოლიმპიადისადმი მიძღვნილმა ანალოგიურმა კონკურსმა სამ მილიონზე მეტ მონაწილეს მოუყარა თავი. ვარაუდობენ, რომ ახლანდელი კონკურსი არანაკლები პოპულარობით ისარგებლებს, მით უმეტეს, რომ გამარჯვებულები ოლიმპიური თამაშების საგზურებს მიიღებენ.

● **ტალინი**, 24 ნოემბერი. ასუჯრიან შაშში აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის დღეს გამართულ VI ტურში ოდესელმა საერთაშორისო ოსტატმა მ. კორხოვმა აქტიურად შეუტია რიგელი მერინის პოზიციას და ფარ-ხმალი დააყრევინა მეტოქეს. ასე აღნიშნა კორხოვმა თავისი დაბადების დღე. მსოფლიო ჩემპიონმა ანდრეიკომ უკვე 36-ე სვლაზე დაამარცხა ე. კორხოვი. კი

# ყველას აჯობა „ფოლადმა“

„განთიადის“ ცენტრალურ საბჭოში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადებას დიდ ყურადღებას უთმობენ: ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტკლუბების, რაიონული, საქალაქო და საოლქო ტურნირების ხშირად გამართვით სრულყოფენ სპორტსმენთა მომზადებას, არჩევენ საუკეთესოებს, რათა საქართველოს ნაკრებს რაც შეიძლება მდიდარი შევსება მისცენ.

რესპუბლიკის სპორტკლუბების მორიგი სპარტაკიადის მიზანიც უძლიერესთა გამოვლენა და კოლექტივების მიერ წლის მანძილზე გაწეული შრომის შემოწმება იყო. ტურნირები გაიმართა ბათუმის, რუსთავისა და თბილისის ბაზებზე, სადაც ასპარეზობდნენ თბილისის „განთიადის“, „უშბის“, „ფეიქრისა“ და „გამარჯვების“, ქუთაისის „კოლხიდის“, რუსთავის „ფოლადის“ სპორტსმენები.

როგორც შეჯიბრების შედეგებმა ცხადყო, მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა ყველაზე მაღალ დონეზე დგას რუსთავის მეტალურგიული კომბინატის სპორტკლუბ „ფოლადში“. ამ კლუბის სპორტსმენები პროგრამის ყველა სახეობაში ცდიდნენ ძალას, მათ მძლეოსნობასა და ვოლოსპორტში I, ძალოსნობაში II, სპორტულ ტანვარჯიშში III, ხოლო ცურვაში IV ადგილები დასაკუთრეს. საერთო ჯამში მათ 35 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ და საუკეთესო კოლექტივის სახელიც მოიპოვეს.

II ადგილზე გავიდნენ თბილისის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „განთიადის“ წარმომადგენლები, რომელებსაც სპორტულ ტანვარჯიშში ბადალი არ ჰყავდათ. ამ სახეობის პირად ტურნირში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა ხუთმა მოასპარეზემ, რომელთაგან ოთხი საავიაციო ქარხნიდან იყო. ნ. სმაგინამ მრავალჭიდში 73,2 ქულა დააგროვა, ლ. სედიხმა — 73,15, ვ. ჭლარკავამ კი 72,35. ოსტატის ნორმატივი სამივემ მეორედ შეასრულა და ამ მაღალი წოდების ტარების უფლება მოიპოვა. ეს ნორმატივი პირველად შეასრულეს მათმა თანაგუნდელმა ს. კურგანსკაიამ (72,15), ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდის“ წარმომადგენელმა მ. შარავშიძემ, რომელმაც ვაჟთა მრავალჭიდში 108 ქულა დააგროვა.

სპორტკლუბ „განთიადის“ ნაკრები მეორე იყო მძლეოსნობაში, მესამე — ვოლოსპორტსა და ძალოსნობაში, ცურვაში კი მიწილ ადგილს დასჯერდა.

„კოლხიდის“ საერთო III ადგილი პროგრამის ყველა სახეობაში მონაწილეობამ განაპირობა. ყველაზე კარგი ადგილები (II) მათ ტანვარჯიშსა და ვოლოსპორტში მოიპოვეს. მძლეოსნობაში მესამენი იყვნენ, ძალოსნობაში IV ადგილი დაიკავეს, ხოლო ცურვაში V ადგილით დაკმაყოფილდნენ.

სპარტაკიადაში თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ „უშბა“ და „გამარჯვება“. მართალია, ამ კლუბებმა თითო გუნდური პირველობა მოიპოვეს („უშბამ“ — ცურვაში, „გამარჯვებამ“ — ძალოსნობაში), მაგრამ მათგან საერთო ჩათვლაში სამართლიანად ელოდნენ უკეთეს შედეგებს.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა თბილისის სართავ-სატრაქტორო კომბინატის სპორტული კლუბის „ფეიქრის“ შედეგები. ამ კოლექტივმა მძლეოსნობაში, ძალოსნობასა და ტანვარჯიშში ასპარეზობას თავი აარიდა, ცურვაში III ადგილი დაიკავა, ვოლოსპორტში კი V ადგილს დასჯერდა. „ფეიქრის“ წარმომადგენლები ბავს ამართლებენ: ჩვენს საწარმოში უმეტესად ქალები მუშაობენ და ძალოსანთა ტურნირში ამიტომაც ვერ გამოვედითო. მაგრამ მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში წარუმატებლობას რითლა ახსნიან?

საქართველოს სპორტის ოსტატთა რიგებს ძალოსანთა და მოცურავეთა შეჯიბრებებმა 4 სპორტის ოსტატი შემატა: უმჩატესი წონის ძალოსანმა ს. თათიევსიანმა სამჭიდში 275 კგ დააგროვა, საშუალო წონის ათლეტმა ი. მეხაშიშვილმა (ორივე — „გამარჯვება“) კი 415 კგ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სპორტსმენმა ს. ბუკაკინმა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში 1.02,4 აჩვენა, ა. ფეოკტისტოვმა („უშბა“) ამავე დისტანციაზე პრასით ცურვაში — 1.11,9, ფეოკტისტოვმა ოქმარჯვა 200 მეტრზე პრასით ცურვაში (2.41,9) და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც შეასრულა.

დ. გელაშვილი.

## ნაკლოვანებანი

### წითელი წყაროს

აქ გაიმართა საშუალო სკოლების რაიონული პირველობა ხელბურთში. ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1954-55 წლებში დაბადებული მოსწავლეები. გაიმარჯვეს სოფელ ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ბ. კაკალაშვილი.

# ᲛᲗᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲚᲖᲔ...

თბილისიდან გახულმა მანქანამ საქართველოს სამხედრო გზისკენ გაუხვია. მას რესპუბლიკის პროფსაბჭოს მე-12 ტრადიციული ალპინიადის მონაწილენი მწვერვალ გორის დასაპყრობად მიჰყავდა.

როცა სამხედრო გზის მშვენიერებით გატაცებულები დანიშნულების ადგილზე მივედით, სამანქანო გზაც დამთავრდა. ბანაკი ხდის ხეობაში გავშალეთ. ათი დღე კლდეებზე, ბალახოვან და ნაშალ ფერდობებზე მეცადინეობას მოვანდომეთ და 22 ოქტომბერს მძიმედ დატვირთულები მწვერვალის გზას დავადექით.

ძალიან ნელა მივიწევთ წინ. ალმართი მატულობს. გზა თანდათან რთულდება. ოფლში ვიწურებით. შიმშილმაც შეგვაწუხა. ჩვენს ქვეშ, 100 მეტრზე, წყალი ჩხრიალით მიედინება, მაგრამ წყურვილის ატანა სჯობს სიმაღლის დაკარგვას. რაც უფრო ზევით მივიწევთ, სუნთქვაც ჭირს. რამდენიმე რთული მონაკვეთი გავიარეთ და წყლის სათავეებაც მივადექით. ვისვენებთ, ვსაუზმობთ. ზევიდან კლდოვანი და თოვლიანი ფერდობები დაგვყურებენ.

ერთსაათიანი შესვენების შემდეგ კვლავ გავუდექით გზას. ორ საათში ყინვარს მივადექით. კარვები ახალდათოვლილ კლდეებზე გავშალეთ. მზის ჩახვლისას აცივდა, ძლიერმა ქარმა თოვლის კორიანტელი დააყენა. კარგი კარვები და ხანძალი ტომრები გვქონდა, მაგრამ სიცივე ღამით მაინც ხშირად გვაღვიძებდა.

დილით მზე ამოვიდა. 10 საათზე თოვლსა და ყინულზე მეცადინეობა დავიწყეთ. საღამომდე გვარიანად ვივარჯიშეთ.

28 ოქტომბერს, დილით, მწვერვალ გორისკენ დავიძარით. როცა გარკვეული მანძილი გავიარეთ, დავინახეთ, რომ მწვერვალ ხელგის ფერდობებიდან ჩამოდიოდა ჩვენი ალპინიადის თანრიგოსანთა ჯგუფი, რომელმაც შარშან მწვერვალი გორი დაიპყრო.

საღამოს ადრიანად დავიძინეთ. დილით ძია მიტოს (ალპინიადის ხელმძღვანელი დ. ობოლაძე, რომელსაც ყველა ძია მიტოს ეძახის) შეძახილმა გამოგვადვიძა. ყველაფერი სწრაფად გავაკეთეთ. დავშალეთ თოკები და ჯგუფების მიხედვით თანმიმდევრულად შევუყვეთ დრმად დათოვლილ ფერდობებს. გვეჭირა ნაკვალევში სიარული, ფეხი დრმად ეფლობა, სუნთქვა ძნელდება. ინსტრუქტორები გვაძახებენ, სურათებს გვიღებენ. ყინულის ფერდობებზე ჰატარა საფეხურებს ჭრის წინ მიმავალი ინსტრუქტორი. მწვერვალი ახლოს გვეჩვენება, მაგრამ გზა მაინც ალარ ილევა.

ბოლოს, 7 საათს დაძაბული სიარულის შემდეგ მწვერვალზე შევდგით ფეხი. სადამდეც თვალი გასწვდება, შესანიშნავი სანახაობა იშლება. უამრავი მწვერვალი ჩანს გარშემო: „ხევის ჰატარძალი“ მყინვარწვერი, ყურო, ჯიმარა, ძნელაძე... ყველას ვერ ვარჩევ. ჩრდილოეთით კი რუსეთის ტრამალებს გავყურებთ. გამარჯვების შუშხუნას ვუშვებთ. არ გვინდა მწვერვალიდან დაშვება. მაგონდება ვაჟას სიტყვები:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-ძთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.

ვერ წარმოვიდგინა თუ ანე ძლიერი იყო განცდა, რომელსაც მთამსვლელები ალბათ ყოველი მწვერვალის დაპყრობისას განიცდიან.

ერთი საათის შემდეგ თოვლიანი ფერდობებით ვეშვებით უბიფათო ადგილებზე. ხელმძღვანელები ნებას გვრთავენ სრიალით დავეშვათ. იმავე სალამოს ჩამოვედით ხეობაში. ჩვენმა მზარეულმა შესანიშნავი ვახშამი დაგვიმზადა. დიდი შთაბეჭდილებებით დატვირთულები საძილე ტომრებში ჩავძვერით და ტაბილად დავიძინეთ.

ჩვენდა სამწუხაროდ, ალპინიადის დღეები იწურება. 29 ოქტომბერს მანქანები გველოდება დარიალის ხეობაში. დროებით გეშვიდობებით, მთანო მაღალნო. ამის შემდეგ ხშირად მოგაკითხავთ და ვიხილავთ თქვენს სიდიადეს.

ა. ხუციშვილი,
გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, ალპინიადის მონაწილე.

# ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ, ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

ᲪᲣᲠᲕᲐ

15 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

### ᲙᲐᲚᲔᲑᲘ

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| **თავისუფალი სტილი** | | | |
| 100 მ | 58,9 | დ. ფრეზერი (ავსტრალია) | 1964 |
| | 59,3 | ბ. ვეცკო (გდრ) | 1970 |
| | 1.01,8 | ლ. ბრეზეცი (პოლტავა) | 1967 |
| 200 მ | 2.06,7 | დ. მაიერი (აშშ) | 1968 |
| | 2.08,2 | ბ. ვეცკო (გდრ) | 1970 |
| | 2.13,9 | ტ. ზოლოტნიცკაია (ნოვოსიბირსკი) | 1970 |
| 400 მ | 4.24,3 | დ. მაიერი (აშშ) | 1970 |
| | 4.32,9 | ე. ზემიში (გდრ) | 1970 |
| | 4.46,6 | ო. კუდაშოვა (მოსკოვი) | 1970 |
| 800 მ | 9.02,4 | კ. მორასი (ავსტრალია) | 1970 |
| | 9.29,1 | ე. ზემიში (გდრ) | 1970 |
| | 9.48,8 | ო. კუდაშოვა (მოსკოვი) | 1970 |
| **ბრასი** | | | |
| 100 მ | 1.14,2 | კ. ბოლი (აშშ) | 1968 |
| | 1.15,4 | ბ. პროზუმენშჩიკოვა (სსრ კავშირი) | 1968 |
| | 1.15,4 | ბ. პროზუმენშჩიკოვა (მოსკოვი) | 1968 |
| 200 მ | 2.38,5 | კ. ბოლი (აშშ) | 1968 |
| | 2.40,7 | ბ. სტეპანოვა (სსრ კავშირი) | 1970 |
| | 2.40,7 | ბ. სტეპანოვა (მოსკოვი) | 1970 |
| **ბატერფლაი** | | | |
| 100 მ | 1.04,1 | ე. ჯონსი (აშშ) | 1970 |
| | 1.04,5 | ა. კოკი (ჰოლანდია) | 1965 |
| | 1.06,8 | ტ. დევიატოვა (ხარკოვი) | 1967 |
| 200 მ | 2.19,3 | ე. ჯონსი (აშშ) | 1970 |
| | 2.20,2 | ბ. ლინდნერი (გდრ) | 1970 |
| | 2.27,8 | ვ. ტუტაევა (მოსკოვი) | 1970 |
| **გულაღმა** | | | |
| 100 მ | 1.05,6 | კ. მიუირი (სამხ. აფრ. რეს.) | 1969 |
| | 1.07,8 | თ. ლეკვეიშვილი (სსრ კავშირი) | 1970 |
| | 1.07,8 | თ. ლეკვეიშვილი (თბილისი) | 1970 |
| 200 მ | 2.21,5 | ს. ეთვუდი (აშშ) | 1969 |
| | 2.25,5 | ლ. დიარმატი (უნგრეთი) | 1970 |
| | 2.27,1 | თ. ლეკვეიშვილი (თბილისი) | 1970 |
| **კომპლექსური** | | | |
| 200 მ | 2.23,5 | კ. კოლბი (აშშ) | 1968 |
| | 2.27,5 | მ. ბრუნერტი (გდრ) | 1969 |
| | 2.29,8 | ლ. მილენინა (ვოროშილოვგრადი) | 1970 |
| 400 მ | 5.04,7 | კ. კოლბი (აშშ) | 1968 |
| | 5.07,9 | ე. შტოლცე (გდრ) | 1970 |
| | 5.19,9 | ნ. პეტროვა (მოსკოვი) | 1970 |

### ᲕᲐᲟᲗᲔᲑᲘ

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| **თავისუფალი სტილი** | | | |
| 100 მ | 51,9 | მ. სპიტცი (აშშ) | 1970 |
| | 52,8 | მ. რუსო (საფრანგეთი) | 1970 |
| | 53,1 | ვ. ბორე (მოსკოვი) | 1970 |
| 200 მ | 1.54,3 | დ. ფოლანდერი (აშშ) | 1968 |
| | 1.55,2 | ჰ. ფასნაჰტი (გფრ) | 1970 |
| | 1.56,4 | ბ. კულიკოვი (ხაბაროვსკი) | 1970 |
| 400 მ | 4.02,6 | ბ. ლარსონი (შვეცია) | 1970 |
| | 4.02,6 | ბ. ლარსონი (შვეცია) | 1970 |
| | 4.09,9 | ა. სამსონოვი (მოსკოვის ოლქი) | 1970 |
| 1500 მ | 15.57,1 | დ. კინსელა (აშშ) | 1970 |
| | 16.19,9 | ჰ. ფასნაჰტი (გფრ) | 1970 |
| | 16.50,7 | ს. ბელიც-ბეიმანი (მოსკოვი) | 1970 |
| **ბრასი** | | | |
| 100 მ | 1.05,8 | ნ. პანკინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 1.05,8 | ნ. პანკინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 1.05,8 | ნ. პანკინი (მოსკოვი) | 1969 |
| 200 მ | 2.23,5 | ვ. ჯობი (აშშ) | 1970 |
| | 2.25,4 | ნ. პანკინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 2.25,4 | ნ. პანკინი (მოსკოვი) | 1969 |
| **ბატერფლაი** | | | |
| 100 მ | 55,6 | მ. სპიტცი (აშშ) | 1968 |
| | 57,5 | ჰ. ლამპე (გფრ) | 1970 |
| | 57,8 | ვ. ნემშილოვი (სოჩი) | 1969 |
| 200 მ | 2.05,0 | ბ. ჰოლი (აშშ) | 1970 |
| | 2.06,9 | ჰ. ფასნაჰტი (გფრ) | 1970 |
| | 2.07,6 | ვ. ნემშილოვი (სოჩი) | 1970 |
| **გულაღმა** | | | |
| 100 მ | 56,9 | რ. მათეზი (გდრ) | 1970 |
| | 56,9 | რ. მათეზი (გდრ) | 1970 |
| | 1.00,0 | ვ. მაზანოვი (მოსკოვი) | 1966 |
| 200 მ | 2.06,1 | რ. მათეზი (გდრ) | 1970 |
| | 2.06,1 | რ. მათეზი (გდრ) | 1970 |
| | 2.11,8 | ვ. მაზანოვი (მოსკოვი) | 1966 |
| **კომპლექსური** | | | |
| 200 მ | 2.09,3 | ბ. ლარსონი (შვეცია) | 1970 |
| | 2.09,3 | ბ. ლარსონი (შვეცია) | 1970 |
| | 2.13,0 | ვ. კრავჩენკო (მოსკოვი) | 1970 |
| 400 მ | 4.31,0 | ბ. ჰოლი (აშშ) | 1970 |
| | 4.36,2 | ბ. ლარსონი (შვეცია) | 1970 |
| | 4.45,8 | ა. დუნაევი (მოსკოვი) | 1968 |

# ნაპსი ბატყდება?

პალმა დე მალიორკის საშონაფშორისო ტურნირი. მდგომარეობა 12 ტურის შემდეგ: ე. გელერი (სსრ კავშირი) — 8 ქულა და 1 გადადებული პარტია, ვ. ულმანი (გდრ) — 7,5, რ. ფიშერი (აშშ) — 7 ქულა და 3 გადადებული პარტია, ლ. პორტიში (უნგრეთი), ბ. ივკოვი (იუგოსლავია), ტ. მეკინგი (ბრაზილია) — 7-7, ვ. ტალიანოვი (სსრ კავშირი) — 6,5, ო. პანო (არგენტინა) — 6 ქულა და 3 გადადებული პარტია, ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), ხ. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 6-6 ქულა და თითო გადადებული პარტია, ტ. უიტუმენი (მონღოლეთი) — 6.

ლიდერთა ბრძოლა სულ უფრო მძაფრდება. ტურნირის ეკვატორზე, XII ტურში, რა თქმა უნდა, საერთო ყურადღება მიიქცია გელერ — ფიშერის პარტიამ. ვარდა იმისა, რომ ეს იყო ლიდერთა შეხვედრა, ყველას აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა ფიშერი ნაფსის გატეხვას. ხაქმე ისაა, რომ ამერიკელ მოჭადრაკეს ძალიან უჭირს გელერთან თამაში: ფიშერს საბჭოთა დიდოსტატისთვის პარტია არ მოუგია, თავად კი ორჯერ თუ სამჯერ მოუხდა დანებება.

ბრძოლა ამჯერადაც უაღრესად მწვავედ წარიმართა. წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრას მეტოქეებმა სათამაშო დრო მთლიანად მოახმარეს, მაგრამ მაინც ვერ ამოწურეს პოზიციის შესაძლებლობანი — პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ფიშერს ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ მისი რეალიზება ძალიან ძნელია. ამბობენ, ყაიმია მოსალოდნელი.

ვერც პოლუგაევსკიმ (მ. ფილიპთან) და ვერც ლარსენმა (რ. ჰიუბნერთან) ვერ დაამთავრეს თავიანთი შეხვედრები.

ზედიზედ მეორე გამარჯვება იუგოს პორტიშმა და ულმანმა: უნგრელმა სძლია ნირწამხდარ ჩეხოსლოვაკიელ ვ. პორტს, რომელიც ტურნირის დაწყებამდე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად იყო მიჩნეული, ულმანმა კი ფარ-ხმალი დააყრევინა კუბელ ე. სიმენსს, რომელსაც შეჯიბრებაში საქმე ყველაზე ცუდად აქვს. როგორც ჩანს, პორტიში და ულმანი სანუკვარ ექვსუულში მოხვედრის სერიოზული კანდიდატები არიან.

ტალიანოვმა მდგომარეობა გამოასწორა: მან „შური იძია“ დ. მინიჩზე (იუგოსლავია) წინადღით მის თანამემამულე ივკოვთან დამარცხებისთვის. უიტუმენმა მოუგო უ. რუბინეტის (არგენტინა).

ყაიმით დამთავრდა ს. ნარანია (ფილიპინები) — ვ. სმისლოვის (სსრ კავშირი), მეკინგ — პანოს, მ. მატულოვიჩ (იუგოსლავია) — უ. ადისონის (აშშ) და ს. რეშევსკი (აშშ) — გლიგორიჩის შეხვედრები.

წუხელ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ფოთში, მდინარე რიონზე ნიჩბოსნობის ახალი ბაზის აგებასთან დაკავშირებით, გაიმართა საკავშირო პირადი ტურნირი ბაიდარებითა და კანოებით ასპარეზობაში.

სურათზე: ერთადგილიანი კანოებით შეჯიბრებაში გამარჯვებული, ქვეყნის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რ. ნაგირნი. ა. გურასაშვილის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).

პალმა დე მალიორკის ტალღაზე

## სმისლოვი იხტიბარს არ იტეხს

მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ვ. სმისლოვს ტურნირში ბედი არ წყალობს: იგი ჯერ ფიშერთან დამარცხდა, მერე მეკინგმაც დააყრევინა ფარ-ხმალი. არც მიმომხილველები არიან მაღალი აზრისა ამ შეჯიბრებაში სმისლოვის თამაშზე.

წარუმატებლობის მიუხედავად საბჭოთა მოჭადრაკეს აღელვებას ვერ შეამჩნევთ. ჩვეულებრივად იღიმება, ხუმრობს და ამბობს, მალე მდგომარეობა გამოსწორდებაო. სხვათა შორის, ასეთივე აზრისაა სმისლოვის მწვრთნელი, დიდოსტატი პ. კერესი.

## ო'კელი ფიქრობს...

საშონაფშორისო ტურნირის მთავარ არბიტრს, მელგიელ დიდოსტატს ა. ო'კელის ჰკითხეს: ვინ იქნება ბ. სპასკის მეტოქე 1972 წლის მატჩში?

არბიტრმა კატეგორიულად განაცხადა.

— ლარსენი, პორტიში ან პოლუგაევსკი. თქვენ ალბათ ფიშერის საკითხი გაინტერესებთ. გიპასუხებთ. მას არა აქვს მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებთან მატჩების თამაშის გამოცდილება და ამიტომ მწვერვალის მისადგომებთან მარცხს უნდა ელოდეს.

## ფიშერს რომ უკვირდეგი...

რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში ფიშერი დგას. ეს ამერიკელ მოჭადრაკეს ოდესავდაც არ აღელვებს. ფიშერს თმა ბითლზის სტილში აქვს შეჭრილი და პალმა დე მალიორკის ვიწრო ქუჩებში ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ ედმონდსონთან ერთად დასეირნობს, ორივეს სიამოვნებს სიმყუდროვე, სიწყნარე და ამიტომ არავითარ კამათში არ მონაწილეობენ.

მოკრძალებით უჭირავს თავი ფიშერის მწვრთნელსაც — ამერიკელ დიდოსტატ ლ. ევანსს.

## სიმპათიური ახალგაზრდა

ბევრი მიმომხილველი სიურპრიზს ელის გფრ-ის ახალგაზრდა მოჭადრაკე ჰიუბნერის მხრიდან. თითქმის არავის ეეჭვება, რომ იგი დიდოსტატის ნორმატივს შესრულებს. ამბობენ, შეიძლება ჰიუბნერი პრეტენდენტებშიც მოხვდესო.

22 წლის ჰიუბნერი ძალიან სიმპათიური, მორიდებული ახალგაზრდაა. თითქმის ყოველი პარტიის შემდეგ დიდხანს რჩება სატურნირო დარბაზში და გულმოდგინედ ანალიზებს გათამაშებულ პარტიას. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ჰიუბნერი ზედმიწევნით ობიექტურად აფასებს განვლილ ბრძოლებს.

ХАЧА ЗАЗАШВИЛИ ХАЛАЗАНДРЕЛИ ЗАЗАЧ ИЧИ ... 19 45

◆ ბელგი, 25 ნოემბერი. მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში 8 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებამ ასეთი შედეგები მოგვცა: კონოპლიოვამ მოუგო კუშნირს, ლემაჩკომ — სტარჩენკოს, სანაძემ — მოროზოვას, სამუელმა — ბორიხენკოს, ლევიტინამ — მოროზოვას. ყაიმით დასრულდა ხემეონოვა — ლევიტინასა და ზატულოვსკაია — კახაბრიშვილის პარტიები.

# Მ. ᲩᲐᲚᲘ: ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

Ახალი ᲮᲕᲐᲚᲘᲡ ᲮᲕᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ახლახან სოჭში გაიმართა ხაჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 7 დიდოსტატი და 7 ახალგაზრდა ოსტატი მონაწილეობდა. წოდებით უფროსთაგან საუკეთესო შედეგი აჩვენა მ. ჩალმა. ოსტატებში თავი გამოიჩინა ბაჭოელმა ვ. კუზმინმა, რომელმაც საკავშირო ალაკ ცენტრალური კომიტეტის პრიზი მოიპოვა. კარგად ითამაშეს, აგრეთვე, ოსტატებმა ვ. ტუკმაკოვმა (ოდესა) და ვ. კუპრეიჩიკმა (მინსკი), რომელიც გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზით დაჯილდოვეს ტალთან შესანიშნავად მოგებული პარტიისთვის.

ასს-ის კორესპონდენტმა, სპორტის ოსტატმა Ვ. ᲮᲣᲜᲯᲘᲜᲨᲕᲘᲚᲘ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მ. ტალს სთხოვა გაეთქვა აზრი ახალგაზრდა ოსტატების თამაშზე.

— სოჭის ტურნირი, — თქვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, — რეფიციალური შეჯიბრება არ იყო, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. დიდოსტატები თავიანთ პრეტენზიას იცავდნენ, ხოლო ახალგაზრდები მათთვის ჩვეული სპორტული გამბედაობით თითქმის ყოველ პარტიაში გამარჯვებისკენ მიიწევდნენ და სრულიადაც არ გვთავაზობდნენ ყაიმებს.

ჩვენი დიდოსტატები ნაკლებად დამაჯერებლად გამოვიდნენ XIX საჭადრაკო ოლიმპიადაში, ამიტომ ტურნირის დაწყების წინ გამოითქვა აზრი, რომ ოსტატებთან შეხვედრა გამოთაკვედა, ვინ უფრო ძლიერია. მე ვფიქრობ, აქ ყველაფერი ნათელია. დიდოსტატის წოდება რაღაცას ნიშნავს და ჩვენ ჯერჯერობით პენსიაზე გასვლას არ ვაპირებთ. მაგრამ შეჯიბრება არც გამოცდა იყო, რადგან ახალგაზრდები საკმაოდ კარგად თამაშობდნენ და ხშირად თვით დიდოსტატებს უჭირდათ „გამოსაცდელთა“ მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. ყველაზე სწორი იქნება სოჭის ტურნირს „ბასაუბრება“ დავარქვათ. მან დაუფასებელი სარგებლობა მოუტანა ჩვენს ახალგაზრდა კოლეგებს.

ოსტატთა შორის, რომელნიც სოჭში თამაშობდნენ, გამოირჩევა 24 წლის ოდესელი ვ. ტუკმაკოვი. თავისი გამოცდილებითა და პრაქტიკული ძალით იგი აშკარად სჯობს დანარჩენ მონაწილეებს და არის გამორჩეული, რომ უკვე შემდგომ ამგვარ შეჯიბრებში დიდოსტატების ღირსებას დაიცავს. შარშან ტუკმაკოვმა არც თუ წარმატებით ითამაშა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში. ერთ-ერთ წერილში მოსფლიოს ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა აღნიშნა, რომ ტუკმაკოვი სპასკის გავლენას განიცდის. იგი ცდილობს ყველაფერი „კარგად“ გამოუვიდეს — კომბინაციებიც, პოზიციური თამაშიც, მაგრამ ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს. ახლა, მე მეგონია, ტუკმაკოვმა იპოვა თავისი საკუთარი სტილი. ეს არის პოზიციური ყაიდის მოჭადრაკე, რომელიც განსაკუთრებით საზრიანი და მოქნილია დაცვაში. მშვიდ მდგომარეობაში, როცა უპირატესობა მის მხარეშია, ტუკმაკოვი მეტად ზუსტად თამაშობს, მაგრამ რთულ, დახლართულ პოზიციებში ზოგჯერ გზა-კვალი ებნევა.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა 24 წლის ბაქოელის გ. კუზმინის თამაშმა. სადებიუტო თეორია მან ალბათ ბევრ ახალგაზრდა ოსტატზე სუსტად იცის, მაგრამ დაფასთან განსაკუთრებით საინტერესო და ორიგინალური იდეები ეგბადება. კუზმინის ანგარიშზე ბევრი ნმიმენელოვანი თეორიული სიახლე მოდის, მაგრამ იგი ამ სიახლეებს შინ კი არ ქმნის, როგორც მოჭადრაკეების უმრავლესობა, არამედ უშუალოდ თამაშის პროცესში. შუა პარტიას კუზმინი კარგად და თავდაჯერებულად თამაშობს, რაც მის დიდ საჭადრაკო ნიჭზე მეტყველებს. მაგრამ, როცა მიღწეული უპირატესობის რეალიზაციის სტადია იწყება, ახალგაზრდა ოსტატი ბრძოლისადმი ინტერესს კარგავს და ტექნიკურ შეცდომებს უშვებს.

სოჭელი მაყურებლები მოხიბლა მინსკელმა ვ. კუპრეიჩიკმა (იგი 21 წლისაა). ჩემთან მისმა კომბინაციურმა გამარჯვებამ გულშემატკივრების უჩვეულო და დამსახურებული აღტაცება გამოიწვია. იგი ტიპიური საჭადრაკო „დეელანტია“ — უყვარს ინიციატივანი, მწვავე პოზიციები. კუპრეიჩიკის ფანტაზია უსაზღვროა, ხოლო მისი დარტყმა ნებისმიერი მეტოქისთვის საშიშია. მაგრამ, თუ კუპრეიჩიკის მეტოქე შეძლებს მის „ხმელეთზე ამოყვანას“, მაშინ ახალგაზრდა ოსტატი ხშირად, უბრალოდ, უსუსური ხდება. ერთი სიტყვით, კუპრეიჩიკი ცალმხრივი მოჭადრაკეა ყველა თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებით.

სხვათა შორის, მე ბევრ ასეთ ახალგაზრდა მოჭადრაკეს ვიცნობ. აქ დგება პრინციპული საკითხი: რა მიმართულებით უნდა განვითარდნენ ისინი? „მრავალმხრივობას“ უნდა მიაღწიონ, თუ თავიანთი კომბინაციური ნიჭი სრულყონ, ესე იგი სპეციალიზაციას გაჰყვნენ? მე მიმაჩნია, რომ ორივე ამ გზას აქვს არსებობის უფლება. რასაკვირველია, რაღაც „ტექმინიმუმი“ ყველასთვის აუცილებელია. მაგრამ სპასკის ტიპის მოჭადრაკეებთან ერთად, რომელნიც უნივერსალობისკენ მიისწრაფვიან, შეიძლება იყვნენ ერთ გარკვეულ სფეროში ძლიერი მოჭადრაკე-ვირტუოზებიც. მაგალითად, ჩინებული სტრატეგი მ. ბოტვინიკი მუდამ ჩამორჩებოდა ტაქტიკური თვალსაზრისით, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა დიდი წარმატებების მოპოვებაში. ოლონდ, მოჭადრაკეს უნდა ახსოვდეს, რომ, თუ მხოლოდ ერთი კოზირი აქვს, ამ კოზირს სრულყოფილად უნდა ფლობდეს.

კუპრეიჩიკისგან სრულიად განსხვავდება 23 წლის ოდესელი მ. პოდგაეცი. თუ პირველი აშკარად გამოხატული ტაქტიკოსია, მეორე მკაცრი პოზიციური მიმართულების მოჭადრაკე გახლავთ, თუ შეუძლია ბოლომდე გამოიანგარიშოს, იგი არც კომბინაციებზე ამბობს უარს. პოდგაეცს თამაშის მაღალი ტექნიკა აქვს, მაგრამ ბუნდოვანი სიტუაციები არ უყვარს. საერთოდ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სოჭის ტურნირის მონაწილე თითქოულ ახალგაზრდა ოსტატს, თავისი საკუთარი საჭადრაკო „მე“ აქვს. ეს მეტად სასიხარულოა: კარგია, თუ სხვადასხვა სკოლისა და მიმართულების მოჭადრაკეები გვეყოლება.

ოუმცა, ჭაბუკი მოჭადრაკეების სტილი ხშირად ტრანსფორმაციას განიცდის. აბა, მაგალითად, 19 წლის რ. ვაგანიანი მშრალი სტილის მოჭადრაკედ მიმაჩნდა, რაც საერთოდ ნაკლებ დამახასიათებელია ჭაბუკური ასაკისთვის. მაგრამ სოჭში იგი უარს არ ამბობდა გართულებებზე. და კარგადაც ართმევდა თავს ამ საქმეს. როცა მე და ვაგანიანმა „ბლიცის“ თამაში დავიწყეთ, იგი შეწირვაზეც თანახმა იყო და ისე ხალისიანად ატარებდა კომბინაციებს, რომ საკმაოდ შემეცვალა აზრი მის სტილზე. ვაგანიანი უდავოდ ძალზე ნიჭიერი ჭაბუკია, მაგრამ მას, ისევე როგორც ბევრ სხვა ახალგაზრდა მოჭადრაკეს, ხელს უშლის ზედმეტი იმპულსურობა: როცა საინტერესო იდეას მონახავს, მაშინვე იყენებს მას და ხშირად მხედველობიდან რჩება ამ იდეის უარყოფითი მხარე.

რა ელის სვალ ჩვენს მოჭადრაკე ახალგაზრდობას? მალე შეგვეცლიან მებრძოლი პოსტზე დღევანდელი ოსტატები? გაივლის სულ ცოტა ხანი და ჩვენ მათ სხვა — ოფიციალურ და შესარჩევ შეჯიბრებებში შევხვდებით. ყველა ახალგაზრდა ოსტატი ერთნაირი წარმატებით როდი ითამაშებს. არ მეეჭვება, რომ სოჭის ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობა დიდოსტატი გახდება. როდის მოხდება ეს? იქნებ — ძალიან მალე. ნოემბრის მიწურულს რიგაში სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატის ფინალი დაიწყება. წლეულს ამ შეჯიბრების საუზრები დისციპლინარა ახალგაზრდების დიდმა ჯგუფმა: ა. კარპოვმა, ი. ბალაშოვმა, რ. ვაგანიანმა, მ. პოდგაეცმა და ვ. ტუკმაკოვმა. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მათგანი სატურნირო ცხრილის ყველაზე მაღალ საფეხურებზე მოხვდეს.

ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ვურჩიო ახალგაზრდა მოჭადრაკეებს: რაც შეიძლება ხშირად ითამაშონ ძლიერ მეტოქეებთან. სოჭში ჩატარებული ასპარეზობის მსგავსი ტურნირები ტრადიციად უნდა იქცეს. დიდოსტატებთან შემოქმედებით ურთიერთობას უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

## შეხვედრა „კოსმოსი — დედამიწა“

მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გუშინწინ გაიმართა საინტერესო საღამო, რომელიც მიეძღვნა პირველ საჭადრაკო მატჩს „კოსმოსი — დედამიწა“. კლუბში მოვიდნენ კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-9“-ის ეკიპაჟი — საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, ავიაციის გენერალ-მაიორი ა. ნიკოლაევი, საბჭოთა კავშირის გმირი ვ. სევასტიანოვი და საქვეყნოდ ცნობილი მოჭადრაკეები.

კოსმონავტებმა დამსწრეთ უამბეს როგორ მიმდინარეობდა თამაში. როგორც ცნობილია, ეკიპაჟ „სოიუზ-9“-ის წინაალმდეგ „დედამიწის“ სახელით იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის გმირები, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ნ. კამანინი და მფრინავი-კოსმონავტი, პოლკოვნიკი ვ. გორბატკო. შეხვედრა საინტერესო თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

„კოსმოსური პარტია“ საჯაროდ გააანალიზა დიდოსტატმა ა. კოტოვმა. ეს პარტია „ლელოშიც“ (№ 114) გამოქვეყნდა.

სიტყვებით გამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი.

## რა ღირს ავტოგრაფი?

ბელგიელმა პროფესიონალმა მრბოლელმა ედი მერქსმა დიდი ხანია დაიმკვიდრა მსოფლიოში უძლიერესის სახელი. მას მოუგია „ტურ დე ფრანსი“, მრავალდღიანი რბოლები — „ჯირო დ' იტალია“, ესპანური „ვუელტა“ და სხვა ბევრი პოპულარული ტურნირი. სხვადასხვა ქვეყნის ანტრეპრენიორები პირდაპირ ნადირობენ მერქსზე და უდიდეს ჰონორარს სთავაზობენ. მისი შემოსავალი ათობით მილიონ ფრანკს უდრის.

მაგრამ ედის არაფერი ჰყოფნის. იგი ყოველგვარ კომბინაციებზე თანხმდება.

ამ დღეებში მერქსი იტალიიდან მოემგზავრებოდა და სტრასბურგში გაჩერდა. იქ ასეთი სპექტაკლი გათამაშდა: უამრავი ფოტოკორესპონდენტის, კინოსა და ტელეოპერატორის წინაშე მრბოლელმა საზეიმოდ მოიზომა ახალი ვილოფეხსაცმელი. ეს ფეხსაცმელი მისი დაკვეთით შეეკერა დასავლეთ გერმანიის ფირმა „ადიდასმა“. მერქსს ამ ფირმის ნახელავი ჰოეწონა და „გზა დაულოცა“ მასობრივი გამოშვებისკენ. შაგნიდან ფეხსაცმელს ცნობილი სპორტსმენის ავტოგრაფი დააშშვენებს.

რასაკვირველია, ფირმა „ადიდასმა“ ამ „შრომისთვის“ ბელგიელ ველოსიპედისტს ჰონორარი მისცა — 100 ათასი დასავლეთგერმანული მარკა.

აი, რა ძვირად შეიძლება ფასობდეს ერთი ავტოგრაფი!

# ფრენბურთის აწმყო და მომავალი

*როგორ ვაქციოთ ფრენბურთი კიდევ უფრო მასობრივ თამაშად, რა უნდა მოვიმოქმედოთ მოწინავე საბჭოთა გუნდების ოსტატობის მუდმივი ზრდისთვის, სად ვეძებოთ ახალი ტალანტები — ეს და კიდევ ბევრი სხვა პრობლემა იქცა მსჯელობის საგნად სსრ კავშირის ფრენბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო პლენუმზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა.*

*საბჭოთა ქვეყანაში ფრენბურთელთა ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმია — 6 მილიონზე მეტი ადამიანი ეწაფება ამ სახეობას. მათს მეცადინეობას 400 ათასამდე საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 7 ათასი მწვრთნელი ხელმძღვანელობს. სსრ კავშირის ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა გუნდებმა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედლები მოიხვეჭეს. ქალთა ნაკრებმა თავისი უპირატესობა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატშიც დაამტკიცა. მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდი და ალმა-ათის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა კოლექტივი წლეულს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასებს დაეუფლნენ.*

*— შედეგების შეჯამებისას ხარვეზებიც უნდა ვილაპარაკოთ, — თქვა თავის მოხსენებაში ფედერაციის თავმჯდომარემ ვ. ბალთაჯიმ. იგი შეჩერდა საბჭოთა ვაჟთა ნაკრების წარუმატებლობის მიზეზებზე (ამ გუნდმა, როგორც ცნობილია, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მხოლოდ VI ადგილი დაიკავა). ბოლო დროს პრეზიდიუმი არ ამოწმებდა საკავშირო მწვრთნელთა საბჭოს მუშაობას, რომელსაც პრაქტიკული და მეთოდური დახმარება უნდა გაეწია ნაკრებისთვის. ამ გუნდის ტაქტიკური არსენალი ღარიბი და ერთფეროვანია. ძირითადი შემადგენლობის დადგენა ფაქტიურად ჩემპიონატის ბოლომდე მიმდინარეობდა. გუნდში არ იყო მეგობრული სულისკვეთება, ამხანაგობა, კოლექტივიზმი და მაღალი სათამაშო დისციპლინა.*

*მწვრთნელები სერიოზულ პედაგოგიურ შეცდომებს უშვებდნენ, ხშირად ცდებოდნენ გუნდის დაკომპლექტებისას. ამავე დროს, საკლუბო გუნდებში სასწავლო-საწვრთნელი პროცესი ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, რის გამოც ნაკრების ზოგიერთმა კანდიდატმა არ შეასრულა პირადი გეგმები და ვერ მოემზადა მსოფლიო ჩემპიონატში სასპარეზოდ.*

*მომხსენებელმაც და კამათში გამოსულებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბევრ სპორტულ საზოგადოებაში ცუდადაა დაყენებული მუშაობა ფრენბურთელებთან, სათანადოდ არ ამოწმებენ და არ ეხმარებიან საბავშვო სპორტსკოლების სპეციალიზებულ განყოფილებებს, არ სრულდება უმაღლესი თანრიგების სპორტსმენთა მომზადების გეგმები. მოსკოვში, ლენინგრადსა და რუსეთის ფედერაციაში იკლო ფრენბურთში მომეცადინეობა რიცხვმა.*

*პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოთა ფრენბურთელების ოსტატობის ამაღლების, ამ სახეობის მასობრიობის შემდგომი ზრდის მიზნით.*

*არჩეულია ფრენბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარედ აირჩიეს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი ი. პარფიონოვი.*

ფეხბურთი

## ბოლო თამაში — 2:0

ჰანოვერი, 25 ნოემბერი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა თავისი ევროპული ტურნეს ბოლო მატჩში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ ქალაქში ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ჰანოვერ-96“.

თამაში ძალიან მწვავე და საინტერესო გამოდგა. ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა შევჩენკომ, რომელმაც კარგად გამოიყენა მუნტიანის მიწოდება. მეორე ბურთი მასპინძელთა კარში მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე გაიტანა ფედოტოვმა.

სტუმრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნოვი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, მუნტიანი, ფედოტოვი, კოლოტოვი, შევჩენკო, კოპეიკინი (70-ე წ. — ნოდია), დუდარენკო (70-ე წ. — ევრიუუხინი).

საბჭოთა ნაკრებმა ავსტრიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტადიონებზე გამართული სამივე მატჩი მოიგო საერთო ანგარიშით 10:3. 2-2 ბურთი გაიტანეს ნოდიამ, შევჩენკომ და ევრიუუხინმა, თითო — მუნტიანმა, ისტომინმა, კოლოტოვმა და ფედოტოვმა.

დღეს საბჭოთა ფეხბურთელები სამშობლოში გაფრინდნენ.

## გაიმარჯვა ახალგაზრდულმა გუნდმა

24 ნოემბერს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა რესპუბლიკის „ბ“ კლასისა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრა. ეს გუნდები დააკომპლექტეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებით.

მატჩი მოიგო ახალგაზრდულმა გუნდმა — 2:1.

### სტოპერის 3 გოლი

ეს გაუგონარი შემთხვევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონატში მოხდა. ერთმანეთს ხვდებოდნენ რესპუბლიკის ჩემპიონი „კარლ ცაისი“ (იენა) და დრეზდენის „დინამო“. მატჩის შედეგია 3:0 იენელთა სასარგებლოდ. სამივე გოლი „დინამოს“ კარში გაიტანა „კარლ ცაისის“ ცენტრალურმა მცველმა ზამერმა.

გუნდის მწვრთნელს ზამერის მთავარ დამსახურებად ის მიაჩნია, რომ იგი ამავე დროს უშეცდომოდ მოქმედებდა დაცვაში.

### პირველ ადგილზე — გერეში

„ლოკომოტივის“ (უფა) ნაკრებს, უნგრეთის ნაკრების ყოფილ წევრს ი. გერეშს ეკუთვნის რეკორდი ეროვნულ ფეხბურთში — მან თავის კლუბში ჩაატარა 328 კალენდარული მატჩი რესპუბლიკის პირველობაზე.

გერეში, რომელიც 30 წლისაა, „დოკას“ შემადგენლობაში 13 სეზონია თამაშობს.

### ლათინურ ამერიკაში

ხანგრძლივი კამათის შემდეგ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა მოაწყოს ეროვნული ნაკრების ტურნე ლათინურ ამერიკაში. ფრანგები იქ 5 იანვარს ჩავლენ და ხუთ მატჩს გამართავენ.

ფეხბურთი

## მოკლედ

- **ბელგრადი.** აქ ცნობილი გახდა, რომ ავსტრალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად იმუშავებს იუგოსლავიელი სპეციალისტი რაშიჩი.
- **ლისაბონი.** „ბენფიკამ“ იშვიათი რეკორდი დაამყარა პორტუგალიის ჩემპიონატში. მან „ტირსენსოს“ კარში 7 „მშრალი“ ბურთი გაიტანა.
- **კურიტიბა.** ბრაზილიის ამ ქალაქის გუნდს სათავეში ჩაუდგა ახალი მწვრთნელი, წარსულში განთქმული ფეხბურთელი ჯალმა სანტოსი.
- **მაინის ფრანკფურტი.** გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის ცნობაში ნათქვამია, რომ ამ ქვეყანაში 2.800 ათასი რეგისტრირებული ფეხბურთელია. ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ფეხბურთელთა რიცხვი ამ ქვეყანაში 3 მილიონს მიაღწევს!

## ყოველი მხრიდან

### ჰიდენი: „დაეხმარეთ ცალფეხა კაცს“

ლიახ, ეს სწორედ ის რუდი ჰიდენი გახლავთ — ევროპის ფეხბურთის ერთ-ერთი სახელგანთქმული მეკარე, რომელზეც ძალიან ბევრი კარგი სიტყვაა ნათქვამი კურტ ჩასტკას ცნობილ წიგნში — „ზამორადან იაშინამდე“.

ომამდე ჰიდენი ავსტრიის ნაკრებში თამაშობდა. ამ გუნდს მაშინ არც თუ უსაფუძვლოდ ეძახდნენ „ვუნდერტიმს“, რაც „სასწაულებრივ გუნდს“ ნიშნავს. შემდეგ იგი მიიწვიეს საფრანგეთში, სადაც ჩინებულად ითამაშა ბევრ მატჩში. მაგრამ ჰიდენი სწორედ იქ მძიმედ დაშავდა, რის გამოც ბოლოს ფეხი მოჰკვეთეს კიდეც.

და აი, დიდხანს ხეტიალისა და წვალების შემდეგ რუდი კვლავ სამშობლოში დაბრუნდა. ახლა იგი ლტაკი ადამიანია. არის დღეები, როცა ერთ დროს ცნობილ ფეხბურთელს პურის ფული არა აქვს. კლუბმა „შტურმმა“, რომლის ღირსებასაც ერთ დროს იცავდა ცნობილი მეკარე, ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ხეიბარს პენსია დაენიშნოს. მაგრამ ფედერაციამ უარი განაცხადა იმ საბაბით, თითქოს საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში ჰიდენმა ავსტრიის მოქალაქეობა დაკარგა.

არც ისე დიდი ხნის წინ გრაცში ავსტრიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების მატჩი დაინიშნა. „შტურმის“ ადმინისტრაციამ ფედერაციას სთხოვა ბილეთები გაეძვირებინა 10 პროცენტით, რათა რაღაც თანხა გაეღოთ ჰიდენის დასახმარებლად. მაგრამ ფედერაციამ ეს თხოვნაც უარყო ზემოთ მოყვანილი საბაბით.

ახლა გრაცის რამდენიმე გაზეთის თაოსნობით გადაწყვიტეს ფული შეუგროვონ ჰიდენს. ამასთან, საფინანსო ორგანოებმა მკაცრად განსაზღვრეს შესატანის რაოდენობა — 10 შილინგი.

ჯერჯერობით მოხუცი ხეიბარი ვენის სტადიონებზე პროგრამებით ვაჭრობს და მკერდზე ჰკიდია წარწერა: „დაეხმარეთ ცალფეხა რუდი ჰიდენს — ავსტრიის „ვუნდერტიმის“ ყოფილ მეკარეს“.

● ●

### დანიელ მორელონის გასაჭირი

„როგორც ჩანს, მიუნჰენის შემდეგ პროფესიონალებში გადასვლა მომიწევს. ისე არაფერი გამოვა. ძლიერი მეტოქეები არა მყავს. არ ვიცი, ვის შევეჯიბრო საბჭოთა ველოსიპედისტების გარდა, მაგრამ ისინიც ზამთრობით არ ასპარეზობენ. მართალია, გზატკეცილზე წვრთნას ვაგრძელებ ჩემს მეგობარ ტრანტენთან ერთად, მაგრამ მარტო ამ ვარჯიშით რას მივაღწევ...“

ასე განაცხადა პრესისთვის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, ოლიმპიურ თამაშებში ტრეკზე სპრინტერულ რბოლაში გამარჯვებულმა, ფრანგმა დანიელ მორელონმა. იგი ერთ-ერთი იმ საუკეთესო ოსტატთაგანია ველოსპორტში, რომლებიც დღემდე უარს ამბობენ პროფესიულ სპორტში გადასვლაზე, თუმცა ბევრი წინადადება აქვთ მიღებული.

პროფესიით მორელონი ავტომექანიკოსია, მაგრამ ეს სპეციალობა ვერ არჩენს. გრენობლში იუნიორთა ჯგუფის მწვრთნელად მუშაობა რატომღაც სამოყვარულო სტატუსთან შეუთავსებლად ითვლება. ამან შეიძლება სპორტსმენს მიუნჰენის ოლიმპიადის საგზური დააკარგვინოს, თუმცა მოყვარულ მრბოლელებს სხვადასხვა პრიზისა და ჯილდოს მიღების უფლება აქვთ.

თითქოს უაზრობაა, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერი იძულებულია გზატკეცილზე ივარჯიშოს, რადგან კერძო ტრეკები ძნელად ხელმისაწვდომია — ქირაა გადასახდელი.

„ყოველდღე ველი ტაიტიდან დასტურს იქ გამოსვლაზე. თუ თანხმობა მივიღე, მე და ტრანტენი გავემგზავრებით. ხომ ხედავთ, ტრეკზე ერთი წრის შემოსავლელად ლამის მთელი დედამიწის შემოვლა დამჭირდეს. დამეთანხმებით, რომ ეს პარადოქსია, რაც გამოწვეულია ველოსპორტში მისი მესვეურების ფარისევლობით შექმნილი სულელური მდგომარეობით“.

ამ სიტყვებით დამთავრა პრესის წარმომადგენლებთან საუბარი დანიელ მორელონმა.



„ფინიშისკენ“. ა. გურასაშვილის ფოტოეტიუდი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.